



ლიცენზირებული საშუროი

საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთ „საშურის მოამბის“ დამატება
№4, 28 აპრილი, ორშაბათი, 2025 წელი



ერთი ლექსი

აჩეხილი ვაზის ტირილი

ვარ საქართველო, – თვალებში მიმზერს მკვლელი,
ჭეშმარიტება! – აი ნუგეში სულის,
მანამდე... ბნელეთს ანათებს მხოლოდ ცრემლი!
მანამდე... მნათობს ახშობს ნაღველი სრული!
სხეული უკვე აღარ ესწრაფვის სხივებს
და უმწეობა ისე კვნესის და გმინავს, –
მას სიამაყე თუ დაამშვიდებს ისევ,
წმინდაო ნინო, რა მგლოვიარედ ბრწყინავ!
აი, სიმკაცრე, აი, წამების ბოლო,
ურცხვთა ზეიმი, ოცნებისათვის ჯვარცმა...
სიმაღლე ჩვენი... დამარცხებაა მხოლოდ?
მზის ჩასვლა როგორ, როგორ ინატროს კაცმა!
ვარ საქართველო... მარად სამიზნე გული,
ვით მზეთუნახავს, კვლავ ცხრაკლიტულში მსვამენ...
ცისფერ მინდორზე გუთნით გავლებულ ხნულებს
ტანკით თელავენ, სისხლს არაყივით სვამენ!
ვარ საქართველო – გულდაფლეთილი თქვენთვის,
ვარ სალოცავი, წმინდა ხატების დედა,
ვარ გაყიდული მათგან, მაღალი ღმერთი
ვინც დაივიწყა და კვლავ სიცრუეს ბედავს!
აპრილის მზეო, ამოანათე ცრემლი,
მაღამოდ ექეც უკიდევანო ნაღველს,
ამ გაზაფხულზე უღვთო ჯალათთა ხელით
მოდ, აჩეხილ ვაზის ტირილი ნახე!

მზია ხუთაგური



ინტერვიუ

ბიბლიოთეკა – ცოცხალი ტრადიცია

3 აპრილს ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანებამ განახლებული ბიბლიოთეკის გახსნა ახალ შენობაში საზეიმოდ აღნიშნა. ადგილობრივ სტუმრებთან ერთად, ღონისძიებას საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, ბ-ნ კონსტანტინე (კოკო) გამსახურდიაც დაესწრო, ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან ერთად.

„ხაშურის საზოგადოება განსაკუთრებული კულტურული მემკვიდრეობით გამოირჩეოდა. აქ არიან ადამიანები, რომლებიც ლიტერატურაში, მწერლობასა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროში გამორჩეულად იღვწიან. ამიტომ, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მნიშვნელობაც ამ ქალაქისთვის ოდითგანვე განსაკუთრებული იყო. დარწმუნებული ვარ, ქ-ნ კლარა გელაშვილი ისეთივე, მისთვის ჩვეული, პასუხისმგებლობით წარუძღვება განახლებული ბიბლიოთეკის საქმიანობას, როგორც ქვიშხეთში, დ. ყიფიანის სახლ-მუზეუმში მოღვაწეობისას.“ – აღნიშნა ბატონმა კოკომ თავის გამოსვლაში.

– ბ-ნ კონსტანტინე, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი გაბარიათ. რას ნიშნავს თქვენთვის ბიბლიოთეკა?

– ცნობილმა ამერიკელმა განმანათლებელმა და ფილოსოფოსმა რალფ უოლდო ემერსონმა თქვა: „ბიბლიოთეკა – ეს არის ჯადოსნური გამოქვაბული, რომელშიც არიან მიცვალებულები – წიგნები, მაგრამ როგორც კი გადავშლით, მათ აქვთ უნარი, გაცოცხლდნენ, ჩვენში აღსდგნენ და გასაოცარ ამბებს გვაზიარონ.“ მართლაც, ასეა. ბიბლიოთეკა წიგნთსაცავია, არქივი, სადაც ძველი ეპოქის დოკუმენტებია შემონახული, არტეფაქტები – იგივე ძვირფასი ნივთების საცავი, რომელშიც განთავსებულია ჩვენი წინაპრების ცხოვრება, მათი გრძნობები და ფიქრები. ბიბლიოთეკა მხოლოდ კედლები არ არის, არამედ, ის არის აურა, რომელიც მეფობს და, რომელსაც ცოცხალი ადამიანები ქმნიან. ბიბლიოთეკა – ეს არის ცოცხალი ტრადიცია, რომელიც იყო, არის და უნდა გაგრძელდეს. იქ, სადაც არსებობს ეროვნული ცოცხალი ტრადიცია, ასევე, არის ზოგადკაცობრიულიც. აქვე გავიხსენებ მერაბ კოსტავას სიტყვებს: „საქმეა, იქცე მსოფლიო კაცად და არ უმუხტოლო ერსა და თვისტომს, ცის მაღალ ყელზე ვარსკვლავთა აცმას...“ ეს გზა, უპირველესად, საკუთარი ერის მსახურებაზე, საკუთარი ეროვნული სულისკვეთების არ ღალატზე, არ მუხტლობაზე გადის.

ნათქვამია, ხელნაწერები არ ინვიან, არც წიგნები და იმიტომ, რომ მათში კაცობრიობის სულია და ის ვერ დაიწვება, შეუშუსრავია. „ენა, მამული, სარწმუნოება“ ის ტრიადაა, რომელიც ჩვენს ადამიანურ სახეს განსაზღვრავს.

– რთულ ეპოქაში გვინევს ცხოვრება, ზოგადად, მსოფლიოში მიმდინარეობს ფასეულობათა გადაფასება, რაც სულიერ და ფიზიკურ კატაკლიზმებს იწვევს. ამ მარათონში ყველაზე რთული გზა პატარა ერებს აქვთ ხოლმე. თქვენი აზრით, საქართველო როგორ გაივლის ბენვის ხიდს?

– ჩვენ სამშობლო მუდამ გვქონდა, მაშინაც კი, ამა თუ იმ მეზობლის მიერ დაპყრობილი როცა ვიყავით, მაგრამ სახელმწიფო არ გვქონია. ერი-სახელმწიფო არის ისეთი რამ, რაც სამშობლოს და ერის გარდა, ახალ ეპოქას გულისხმობს. სამშობლოს ვერავინ წაგვართმევს. მთავარია, სახელმწიფოებრიობა შევინარჩუნოთ. საცაგებს, ხელნაწერებსა და წიგნებს ჩვენი განათლებისთვის აქვს მნიშვნელობა, რათა იმ გამოწვევებს გავუძლოთ, რასაც ჩვენი ეპოქა გვთავაზობს. ასეთი რთული ეპოქა არ ყოფილა არასდროს. ჩვენ შეგვიძლია, ჩვენი ცხოვრების საჭე ვიპყროთ ხელთ. ამისათვის კი სწორი განათლებაა უპირველესი.

– თქვენი აზრით, დღეს რამდენად წიგნიერი თაობაა? რამდენად არის წიგნის სიყვარული მათში? ის ზღვა ინფორმაცია, რომელსაც ინტერნეტი მოიცავს, საკმარისია თუ არა იმისათვის, რომ მოზარდს ინტელექტი განუვითარდეს? – საოცრად გონიერი თაობაა, მათი აზროვნება და ინტელექტი აჩქარებულია იმდენად, რომ ისინი სწრაფად ითვისებენ ისეთ ინსტრუმენტებს, აპარატებს და პროგრამებს, რომელთა ათვისებაც ჩვენ სავარაუდოდ, სიჭაბუკეშიც გავგიჭირდებოდა და ახლა, მით უფრო. მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ახალგაზრდობის დიდი ნაწილი გაჯეტებსა და ტიკტოტებს არის მიჯაჭვული. ისინი ძალიან რაციონალურად შეიძლება

კითხულობდნენ, მაგრამ მხოლოდ იმას, რაც ჭირდებათ, მაგრამ ეს წიგნიერებას ხელს მაინც არ უწყობს. წიგნიერებას, ჩემი აზრით, ესაჭიროება შემეცნების ნების განვითარება ადამიანში, რაც კითხვის და ტექსტის გაგებისთვის გარკვეულ დისციპლინას აყალიბებს, ჭირდება ასევე ემოციური ინტელექტი (Eყ) და ინტუიციის განვითარება, როგორც ამ ყოველივეს შედეგი. ეს გულისხმობს რაღაცნაირ შინაგან ჭვრეტას, მეხსიერების ძალების გამომუშავებასაც. „განათლება“ და „წიგნიერება“ არ არის ინფორმაციის მიღება, და მათ დასაწყობება ჩვენი მეხსიერების ბიტებში, არამედ რაღაც სხვა ხარისხობრიობის მიღწევაა, ახალი უნარ-ჩვევების ათვისებაა, რომელიც მანამდე არ გვქონდა. ოდესღაც ვიქტორ ჰიუგომ წიგნზე თქვა, რამდენადაც გუტენბერგის გენიალური გამოგონება მაშინ ჯერ კიდევ ძალას იკრებდა და ახალი იყო, რომ წიგნი ტაძარს მოკლავსო. დღეს ელექტრონული მედიები უპირებენ წიგნს მოკვლას. ეს საქმე მათ ნაწილობრივ კიდევ გააკეთეს, მაგრამ ვფიქრობ, ეს არ უნდა მოხდეს.



– საჭიროა თუ არა, მოზარდებთან რაღაც ახალი ფორმით ბიბლიოთეკის ინტერესის გაღვივება და რა ფორმა შეიძლება იყოს?

– კარგია, თუ ახალგაზრდას ვასწავლით წიგნის დამზადებას, აკინძვას. რაც შეეხება კითხვას, თავიდან სასურველია, მოსწავლეებს ურთიერთობა ჰქონდეთ კარგად, ფერადოვნად დასურათებულ წიგნთან. ზოგჯერ შედეგს იძლევა ხმამაღლა კითხვაც, ჯგუფში. მხოლოდ ჩიჩინით და დაძალებით კითხვას ცხადია,

არავინ დაუმეგობრდება. ამას ესაჭიროება საკმაოდ კარგად მოფიქრებული, მეთოდური მიდგომა. და, რაც მთავარია, თანმიმდევრულობა.

ლიტერატურა ცხადია, უფრო სასიამოვნო საკითხავია, ვიდრე ფილოსოფია და მეცნიერება, სადაც ბევრია „მოსაწყენი აზრი“ – ძალიან საჭირო სამყაროს აღგნავის და ძირითადი საზრისების გასაგებად, ჩასაწვდომად, მაგრამ ისინი მაინც გვეუცხოება. ამ დროს საჭიროა ახსნა, რატომ არის ასეთი წიგნების კითხვა მნიშვნელოვანი, ვგულისხმობ, როგორც ლიტერატურულ ტექსტებს, ისე სამეცნიეროს და ფილოსოფიურს.

– დიდი კონსტანტინეს რომელმა წიგნმა მოახდინა გავლენა და რომელ ასაკში?

– ჩემზე „დიდოსტაის მარჯვენამ“ მოახდინა განსაკუთრებული გავლენა სკოლის ასაკში და ამას დაერთო ისიც, რომ სკოლაში სწავლის დროს, 70-იან წლებში მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში წავედი 2-3 თვით. მახსოვს, რომ მაშინდელი მცხეთის მკვიდრნი „დიდოსტაის“ გმირებზე ისე საუბრობდნენ, თითქოს მათ პირადად იცნობდნენ და შეხვედრილნი იყვნენ.

– ლიტერატურისა და ზოგადად, წიგნის სიყვარულს რა ბაღებს ადამიანში?

– ერთის მხრივ, ეს რა თქმა უნდა, არის სკოლა და ოჯახი. სწორედ მათი ხელშეწყობით ყალიბდება ლიტერატურის და წიგნის სიყვარული. მეორეს მხრივ, ადამიანს ქვეშეცნეულად მაინც უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რაც იოანეს სახარების დასაწყისშივე წერია – რომ პირველთაგან იყო სიტყვა და ღმერთიც იგივე სიტყვაა. ეს ნიშნავს, რომ ის, ვინც სამყარო თავისი ძალით, სიბრძნით და სიყვარულით გამოთქვა, სიტყვაა და თავად სამყაროც მისი ქმედების პირდაპირი შედეგია, ანარეკლია. ხელოვანიც, თუ დავაკვიდრებით, იმავეს განახორციელებს – შედეგია: სიტყვა-სიტყვა, სიტყვა-აზრი, სიტყვა-ხმოვანება, სიტყვა-ფერი, სიტყვა-ფორმა... ზოგიერთ ადამიანს ამის შინაგანი საზრისი იმდენად არ გააჩნია, ზოგს კი პირიქით – აქვს ეს. სწორედ ასეთი ადამიანია წიგნის მოყვარული.



კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „ვაზის ყვავილობა“, როგორც მეორე მსოფლიო ომის რეცეფცია

რომანში მრავლადაა ისეთი სიუჟეტი, რომელიც ასახავს როგორც ომამდელი, ისე ომისდროინდელი კახეთის სოფლურ-რურალურ ყოფას; აქ ჩნდებიან როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ისე რაიკომის მდივანი, როგორც საბჭოთა მილიციის და პროკურატურის წარმომადგენლები, ისე მაღალი პარტიული თანამდებობის პირნი. ისინი გარკვეულ ფონს ქმნიან თავიანთი მოქმედებებით და საუბრებით, თუმცა ეს დიალოგები და მოქმედებები აქ მთავარი არ არის: მთავარი საყრდენი იდეა რომანისა ეს არის კალოკაგათია. ცნება „კალოკაგათია“ უკავშირდება კლასიკურ ბერძნულ კონცეპტს, რომელშიც ფიზიკურ მშვენიერების და მორალური სიქველის იდეები ერთმანეთთანაა კომბინირებული. ის წარმოსდგება ბერძნული სიტყვიდან „კალოს“ რაც ნიშნავს „მშვენიერს“, „ლამაზს“ და „აგატჰო“, რაც ნიშნავს კეთილს ან ქველს. (ბრეგაძე 2024: გვ.325-328). ეს ტერმინი განასახიერებს ადამიანის პიროვნებას მთლიანობაში, რომელშიც ჰარმონიზებულია ორივე, სხეულიც და სულიც (სიგუა 2003: გვ.377-378) ეს ძველბერძნული კონცეპტი პრაქტიკულად მოიცავს კონსტანტინე გამსახურდიას ყველა ნაწარმოებს და ამ რომანშიც უმთავრესია. სწორედ მისადმი სწრაფვას განასახიერებენ ერთის მხრივ თუში გოდერძი ელანიძე და მისი ერთადერთი სიყვარული, შემდგომში მისი მეუღლე ნუნუ უფირაული, მეორეს მხრივ კი ევროპულად განსწავლული აგრონომიის პროფესორი ვახტანგ კორინთელი, მისი პირველი სიყვარული და მეუღლე თავადი ვაჩნაძის ქალი მედეა და მისი მეორე მეუღლე, სუსქია მინდელი. (სახელი „სუსქია“ უნდა წარმოსდგებოდეს დიდი ნიდერლანდელი მხატვრის რემბრანდტის მეუღლის და მუზის, მის არაერთ ნამუშევარში წარმოდგენილი სასკია ვან უილენბურგის სახელიდან). ამ ყოველივეს კიდევ უფრო აძლიერებს და მომხიბვლობს ჰმატებს ზოგადი ფონი – ეს არის ალაზნის ველის და მის თავზე კედელივით აღმართული კავკასიონის ქედის სამოთხისებრი სილამაზე, ასევე ქართული ზეცის სიანკარე და სინათლე.

რომანში ამიტომაც არ არის შემთხვევითი რემინესცენციები და ალუზიები ბერძნულ-ანტიკური ისტორიის და მითოლოგიის სამყაროდან. მწერალს არც მინიშნება გამორჩენია დროისა და ისტორიის ჩარხის უღმობელობაზე: ვკითხულობთ, რომ ადგილს ცხრამეხა ერქვა – რვა მუხა გამხმარა, ერთი კი გადარჩენილა. ამით ავტორს სურს იმის თქმა, რომ მუხა, თუნდაც ერთი, სიმბოლო იბერიულ-კავკასიური მოდგმისა და მისი აღმატებული კულტურისა, კვლავ რჩება და მასთან ერთად სიცოცხლეს განაგრძობს სილამაზე და ძველთაგან არსებული სიქველეები. როგორც გოდერძი და ნუნუ, ისე ვახტანგ კორინთელი და მედეა კიდევაც ჰგვანან ილია ჭავჭავაძის ცნობილი მოთხრობის წყვილებს – ერთის მხრივ ოთარაანთ ქვრივი და გიორგი, მეორეს მხრივ –არჩილი და კესო. რა მიმართებაშია „კალოკაგათია“ ქრისტიანობასთან? თავად კონსტანტინე გამსახურდიასთვის არასოდეს წარმოადგენდა საკამათო საკითხს, რომ ქართველმა ერმა თავისი ისტორიული განვითარების გზაზე ქრისტიანობის მცნებებით იხელმძღვანელა. მაგრამ მწერლისთვის ქრისტიანობა არ არის მაგიზმი და ცრურწმენები, რომელთაც არც თუ დადებით კონტექსტში მოიხსენიებს თუნდაც ამ რომანში; (იგულისხმება „ვაზის ყვავილობა,“ თუმცა სხვა რომანებშიც ანალოგიურადაა) მაგალითად, ქვაკაცას წმინდა გიორგის ე.წ. წყევლის ცრურწმენად მოხსენიება, რომელიც მავანთა შეხედულებით დაუძლეველ წინააღმდეგობას წარმოშობს გველეთვის ვენახების სავარგულთა კულტივაციისთვის; ქრისტიანობა მისთვის ასევე არ არის არც პოლიტიკური კლერიკალიზმი, არც ხუცეების ობსკურანტიზმი, იგი არ ეწინააღმდეგება განმანათლებლობას, იგი არ ნიშნავს სულისა და ბუნების ერთმანეთისგან ბოლომდე გათიშულობას და მათ ურთიერთდაპირისპირებას – თეოლოგიურ სისტემას, რომელშიც მხოლოდ სულია ცალსახად ჭეშმარიტი და კეთილი, დაჯილდოებული ცხოვნების გზაზე დადგომის უნარით, ხოლო ბუნება კრიმინალიზებულია, ვინაიდან იგი უნუგეშოდ დაცემული და ცოდვილია, რის გამოც ის ასკეზით უნდა დაითრგუნოს სულიერ გზაზე შემდგარი ადამიანის მიერ. ამ გზაზე დამდგარს ნაკლები საფუძველი აქვს სიხარულისთვის – მის ცხოვრებას უფრო მწუხარება უნდა მოიცავდეს და მუდმივად თავის დაგლახაკებას ცდილობდეს. ქრისტიანობის ასეთი გაგება, როგორც უკვე აღინიშნა, კონსტანტინე გამსახურდიასთვის უცხოა. იგი თავის ერთ-ერთ ადრეულ ესეში წერდა, რომ „ქართველობა ისე ვიდოდა ქრისტეს სისხლიან კვალზე, რომ დიონისოს ყვავილოვან შუბლს თვალს არ აცილებდა.“ (გამსახურდია, 1991, გვ.377-387) სწორედ ამ დიონისური ლხენის სიმბოლოა ვაზი, რომლის მოვლაც და მოშენებაც კახეთშიც და სრულიად საქართველოშიც დიდ სიქველედ და სათნოებად მიიჩნეოდა. რასაკვირველია, რომანში ღვინოსთან მიმართებაში სტიოციისტური გონივრულობის და ზომიერების ნიშნული არის საგრძნობი; ცხადია, არსად ჩანს მემთვრალეობის და ღვინის უზომოდ მოხმარების აპოლოგია.

ეს იდილია მოულოდნელად დაარღვია ომმა. მეორე მსოფლიო ომი, რომელიც ევროპაში თავდაპირველად გააჩალა ჰიტლერულმა გერმანიამ და აქედან

მთელ მსოფლიოს მოედო, წმინდა ანტითეზისია იმ ცხოვრებისა, რომელშიც კალოკაგათია ერთგვარ ნორმას და მისწრაფებათა მიზანს წარმოადგენს. იქ, სადაც ზარბაზნები ქუხს და უხვად იღვრება სისხლი, იქ არც მუშების ადგილია და არც მშვენიერების. სოფელი ბერმუხადანაც წაიყვანეს ახალგაზრდები ფრონტზე, მათ შორის გოდერძი ელანიძე. სოლომონ გულუხაიძე ვახტანგ კორინთელს ფრონტიდან წერს:

„ძვირფასო ამხანაგო პროფესორო, ვასრულებ თქვენს შეპირებულს და შეძლებისამებრ მოგიტხრობთ ჩვენს თავგადასავალს. მე ხომ გადაწყვეტილი მქონდა, კალამი არასოდეს ამელო ხელში, მაგრამ ისეთი გაუგონარი ამბები გადაგვბდა თავს, მოუცილებელი სურვილი აღმედრა, ზოგი რამ მაინც მომეწერა თქვენთვის. გოდერძი ელანიძეს სოხუმში შევხვდი პირველად, იგი იქ უცდიდა საავიაციო პოლკში გამწესებას. ამის შემდეგ იგი ნალჩიკში გადაუგზავნიათ, ოთხჯერ დაუჭრიათ, უფროსი ლეიტენანტის წოდება მიუღია. თებერვლის დამლევამდის ჩვენ ქერჩში ვიბრძოდით ქართული დივიზიის რიგებში, აქ იყვენენ ტანკისტები: ხელაანთ ვანო, მარტიაშვილი სტეფანე, კოლა სოკოლოვი, როსტიაშვილი ნიკო, იგივე – მელორე პოპლა და ხირჩლა ოჩიაური, სწორედ ის ახმახი ხევსური, რომელიც ჩემთან ფარიკაობდა, ბერმუხის ქვეშ. მარტში გოდერძიც აქ ჩამოიყვანეს. მე არ შეუუდგები დანვრილებით თხრობას იმისას, რაც გადამხდა თავს ამ ერთი წლის მანძილზე, სად შემწევს იმის უნარი, თუნდაც მიახლოებით აგინეროთ ბლინდაჟებში გამართული ბრძოლები, ღამეული იერიშები...“ (გამსახურდია, გვ.533)

რამდენადაც გოდერძი ელანიძე გერმანელებისგან ოკუპირებულ პოლონეთში ხვდება, ნაწარმოებში აღწერილი რეაქციები აშკარად 1944 წელს უნდა ასახავდეს. აქ წარმოჩენილია გერმანული საკონცენტრაციო ბანაკი, ისეთი, როგორიც იყო ოსვენციმი, (გერმანულად აუშვიცი) ტრებლინკა, მაიდანეკი, ბერგენ-ბელზენი და ა.შ. რა მოხდა ამ დროს? როგორც ცნობილია, ვარშავაში ამ წელს მოხდა ცნობილი აჯანყება გერმანული ოკუპაციის წინააღმდეგ. პოლონური „არმია კრაიოვას“ სარდლობამ, როდესაც საბჭოთა ჯარები მიუახლოვდნენ ვარშავას, გადაწყვიტა დაეწყო ეს აჯანყება, რათა ერთის მხრივ, უკუეგდოთ გერმანული ნაცისტის ოკუპანტები, მეორეს მხრივ კი შეექმნათ ისეთი ვითარება, რომ ერთი ოკუპაცია მეორე, უკვე საბჭოური ოკუპაციით არ ჩანაცვლებულიყო. პოლონურ ისტორიულ დისკურსში ეს დღე კომმარისა და კატასტროფის დღედ განიხილება – საბჭოელები, როგორც მოსალოდნელი იყო, არ მიეშველნენ აჯანყებულ პოლონელებს, ხოლო გერმანელები სასტიკად გაუსწორდნენ მემბოხეებს. აჯანყებას მასობრივი ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა. რომანის მიხედვით, აჯანყება საკონცენტრაციო ბანაკშიც მოხდა, რის შესახებაც ვკითხულობთ:

„გოდერძი და ბურჟინსკი უსაზმნო ავანტიურად სთვლიდნენ ექვსიოდე კაცის მიერ წამოწყებულ აჯანყებას: მოტოციკლებით გამოგვიდგებიან ესესელები და დაგვბოცავენო. ამიტომაც გადაწყდა: საიდუმლო კავშირი გაებათ რუსებთან, სომხებთან, ბელორუსებთან და პოლონელებთან.“ (გამსახურდია, გვ.655)

თუმცა რომანში თარიღები ისტორიულს ზუსტად არ ემთხვევა. „არმია კრაიოვას“ აჯანყება, რამდენადაც ცნობილია 1944 წლის პირველ აგვისტოს დაიწყო და ჩახშობილი იქნა ამავე წლის 2 ოქტომბერს. რომანში კი, გარდა იმისა, რომ „არმია კრაიოვა“ პირდაპირ არსადაა ნახსენები, ეს ამბავი თებერვალშია გადმოწეული:

„თებერვლის ცამეტს, ზუსტად 9 საათსა და 15 წუთზე, სლავუტას ლოკომოტივები აბლავდნენ, აკივლდნენ ქარხნების სირენები, კათოლიკური ეკლესიების სამრეკლოებზე დაარისხეს ზარები. კონცლაგერში ელექტროს შუქი ჩააქრეს თუ არა, ფალკივსკი ავარდა ნარზე და პოლონურად იყვირა: „ცამეტი!“ პოლონელებმა დალენეს ნარებს შორის გამართული მოაჯირები, ხელტუკები გაიკეთეს და ეცნენ მეორე კორპუსის კარებთან მდგარ ესესელებს.“ (გამსახურდია, გვ.660)

რომანში აღწერილია ებრაელების მასობრივი განადგურება გერმანელი ნაცისტების საკონცენტრაციო ლაგერში:

„ათასი ტყვე უცდიდა გათენებამდის დაჭრილების ეშელონს, როცა დაპლომბილი ვაგონები გახსნეს, ათას ხუთასი ტიტველი ცხედარი სელდის თევზებივით ეყარნენ ერთიმეორეზე. ვაგონებებზე და რკინის გორგოლაჭებზე შეჰყარეს და მახლობელ ტყეში გააზიდვინეს ტყვეებს. როცა დაოსებული ქართველები ისევ კამერაში მოიყვანა ბურჟინსკიმ, თორმეტი რაბინი ლოცვად დამდგარიყო... ყველაზე უფროსი, თეთრწვერა ყანყალებდა და გალობდა:

„და დაიბნეს სამოსელნი თვისნი და იტირეს ტირილითა დიდითა და დაისხნეს ნაცარნი თავსა ზედა თვისთა და დაემხვეს პირითა ქვეყანასა ზედა.“ დანარჩენი თორმეტნი სევდიანი ღიღინით ბანს აძლევდნენ უზუცეს რაბინს; გულისმომკვლელი ზუნი ისმოდა, ისეთი სევდიანი, თითქოს ისრაელის თორმეტი მუხლის ნათესავნი მისტირიანო იერუსალიმიდან მათი დეპორტაციის პირველ დღეს.“ (გამსახურდია, გვ. 667)

მოგვიანებით, ვკითხულობთ რომანის ტექსტში, ეს თორმეტივე რაბინი და ოცდახუთი ებრაელი მოქალაქე დახვრიტეს. რამდენადაც დიდი ომი სულ რაღაც ათი წლის დამთავრებული იყო, იმ დროის ლიტერატურაში იშვიათი იყო პოლოკოსტის აღწერა აქ იგულისხმება ის უმძიმესი მოვლენა, რასაც ივრითზე „შოა“ ეწოდება, ანუ ებრაელების მასობრივი განადგურება გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკებში მეორე მსოფლიო ომის დროს. მიუხედავად ყოველივე

აღწერილობისა, მწერლის პოზიცია გერმანული კულტურნაციის მიმართ უცვლელი რჩება, რაც მანამდე იყო. რომანში ასევე აღწერილია პატიოსანი და ღირსების გრძნობით შემკული გერმანელი – რუდოლფ შტამლერი. მიუხედავად იმისა, რომ კონტრდაზვერვის ჰაუპტმანის მუნდირშია, იგი ამბობს:

„მე ფილოსოფიის კათედრას მაძლევდნენ ომამდის, ბონში, – განაგრძო შტამლერმა – სამტომიანი შრომა მაქვს კანტის ეთიკის შესახებ დაწერილი. რა ფასი აქვს ამას ყოველივეს? ეს ყველაფერი წყალში გადამივარდა, კონტრდაზვერვის სკოლა დამასრულებინეს სასწრაფოდ, რათა ხალხების ანიოკება და ქალაქების დაბომბვა მესწავლა. ჩვენ სახელი გაუტეხეთ მაღალნიჭიერ გერმანელ ხალხს. თქვენ, ალბათ ყოველი გერმანელი ფაშისტი გგონიათ, ყველა გერმანელი – ბანდიტი. ალბათ ასე ფიქრობთ, მე მხოლოდ სიკვდილის შიში მაღაპარაკებს“. (გამსახურდია, გვ. 616)

შემდგომ მწერალი ამ ოფიცერს უკვე პირდაპირ გერმანულ ენაზე ათქმევინებს, ევროპაში თავისუფლების, ძმობის და ერთობის იდეალები დიდი ხანია ლაყაფად იქცაო. დიდმა გოეთემ კი თქვა, ოდესმე აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთმანეთს ხელს გაუწვდინანო, მაგრამ ხედავთ, დღეს ერთმანეთს ავტომატებს უშენენო. ასე ვცხოვრობთ თავმოკვეთილი ღმერთის ეგიდის ქვეშ, უღმერთოდ, ურელიგიოდ და უმორალოდო. აქ თვალშისაცემია ნიცშეს რეცეფცია, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიას არაერთ რომანში გვხვდება – ამ მეტად კონტროვერსული გერმანელი ფილოსოფოსის ცნობილი თეზისი, რომ „ღმერთი მოკვდა“. ნიცშესადმი მიძღვნილ ერთ ადრეულ ლექსში კონსტანტინე გამსახურდიამ ფილოსოფოსი მოიხსენია, როგორც „წმინდა ფრიდრიხი და ჯვარცმული დიონისე“.

თუში გოდერძი ელანიძე, რომელიც ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში აღმოჩნდა, თავისი თვალთ ნახავს ადამიანების მასობრივი წამებას და განადგურებას. მის შესახებ წერია: „სამწუხარო ის იყო, რომ გოდერძის იმდენი უტანჯია ომის დასრულებამდის პარტიზანულ ბრძოლებში და კონცლაგერში ხელახლა ჯდომისას, საესებით დამუწეხებული დაბრუნდა შინ.“ (გამსახურდია, გვ. 690) ეს უკვე უშუალოდ წინ უსწრებს ნანარმოების ფინალს – ვაზის ყვავილობის სასწაულს.

მწერლის პირველ რომანი „დიონისოს ღიმილი“ მთავარი გმირის ტრაგედიას აღწერს და გამოსავალი არც ფინალში ჩანს: რომანის მთავარი გმირისთვის ქრისტე და დიონისე ერთმანეთისგან ბოლომდე გათიშულნი რჩებიან, ნანარმოების ბოლოს საფარსამიძეს „აღარც სიცილი შეუძლია, აღარც ტირილი“. აქ, ამ რომანში კი ასე აღარ არის, ქრისტე და დიონისე თითქოს შეერთდებიან ვაზის ყვავილობის სასწაულში. სრულიად დაინვალიდებულ გოდერძის, საშინელებებისგან და ტრავმისგან ენაჩავარდნილ ენას ამოადგმევინებს ალაზნის ველის პარადიზული სილამაზე და ვაზი. „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი და მამაი ჩემი მოქმედ არს“, ამბობს უფალი იესო ქრისტე. (იოანე, 15, 1-8) „ყვავილობა“ ვაზისა სწორედ აღდგომის ძალასა და მკურნალ-მაცოცხლებელ მშვენიერებაზე უნდა მიუთითებდეს. ვაზის აყვავებულ ლერწმებში თითქოს ამოილანდება აღდგომილი ქრისტეს უქმნელი ნათლით შესრულებული ხატება, ტექსტში პირდაპირი ხსენების, ასევე ხელოვნურად თვალშისაცემი რელიგიური სემანტიკის გარეშე. მსგავსი აზრია გურამიშვილის ლექსის ამ სტრიქონებში: „შენ განჰკურნე მწუხარება, აღდგომავე და ქვაგ-სუდარო“, ასევე აკაკისთან – „სწეული დაგბრუნებულვარ, მკურნალად შემეყარე“. ხსენებული სასწაული ვაზის ყვავილობისა ამ სიტყვებითაა გადმოცემული:

„გოდერძი, მიმოიხედე ირგვლივ, ნახე, რა მშვენიერია ეს ქვეყანა ნაქუხილარზე, ნამდვილი ბალნარია ჰესპერიდების! მიხედე შენს საყვარელ კავკასიონს, სადაც მე და შენ დათვებს, მგლებს და ფოცხვერებს შევბივართ ხოლმე. თვალი მოავლე შენს კახეთს, ვაზებისა და ვარდების ქვეყანას. ნახე ვაზის ყვავილობა, ნამდვილი სასწაული დედამიწისა“. „მართლაც მშვენიერია ვაზის ყვავილობა“, სთქვა გოდერძიმ. (გამსახურდია, გვ. 691)

ომი სიკვდილის, ტანჯვისა და მრავალი წელულის გამოწვევით, თუმცა მისი შედეგები დაიძლევა ვაზის ყვავილობის სასწაულით, რომელიც იგივე ქრისტეს აღდგომის მისტერიის გამომხატველია. მან უნდა დაასრულოს სისხლით და ცხედრებით მოფენილი გზა და სიხარულით ჩაანაცვლოს ის. ამავდროულად ვაზის ყვავილობა ხატოვნად ქართველი ერისა და მისი სახელმწიფოებრიობის მომავალი აღდგომის გამომსახველია. რომანის დასასრულს უსინათლო პაპა მიქელამ „ორივე ხელით აიყვანა პატარა მიქელა და აჩვენა იგი ზეციურ მნათობებს, თანაც ისე გახარებული იყო ბედნიერი მოხუცი, თითქოს საკუთარი თვალით ენახა მზე.“ (გამსახურდია, გვ. 691) მუდამ ჩასაფრებული საბჭოთა კრიტიკა პრობლემატურად თვლიდა გოდერძის ამგვარად ამეტყველებას – გოდერძის ამეტყველება ექიმებს მიახდო. (სიგუა, 2003, გვ. 378) განხილვაზე, რომელიც 1957 წლის 26 ივნისს გაიმართა მწერალთა კავშირში, რომანს მაღალი შეფასება მისცეს ბესარიონ ჟღენტმა, ლავროსი კალანდაძემ და აკაკი ბელიაშვილმა. (სიგუა, 2003, გვ. 378).

კონსტანტინე გამსახურდიამ გასული საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც მას „დიონისოს ღიმილი“ უკვე დაწერილი ჰქონდა, დააანონსა კიდეც ორი წიგნი, რამდენადაც ეს რომანი ტრილოგიად იყო ჩაფიქრებული. ერთ-ერთს უნდა რქმეოდა „კონსტანტინე საფარსამიძის სერაფიმიული ღამე“. გავრცელებული მოსაზრების მიხედვით ეს ვერ მოხერხდა, რამდენადაც ამას ხელი შეუშალა მწერლის დაპატიმრებამ და გადასახლება 1926 წელს. თუკი კარგად დავაკვირდებით, ტრილოგია მაინც დაიწერა – მხოლოდ სხვა სახელებით; შემდგომი ორი რომანი სახეზეა „მთვარის მოტაცებისა“ და „ვაზის ყვავილობის“ სახით.



იმერულ ყაიდაზე მოწყობილ სახლ-კარში ხუთი ბავშვი ვიზრდებოდით. ყველას გვიყვარდა სასულიერო და საერო დღესასწაულები. მახსოვს, სტუმრის მოსვლა გვახარებდა ძალიან, რადგან, დიდი ალბათობით, გარანტირებული იყო ფორიანი კანფეტები.

ყველა დღესასწაულს, მაინც აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული გვერჩინა, რადგან იგი ბევრ სასიამოვნო სიხალესთან გვაკავშირებდა: გაზაფხულის, სითბოს მოახლოებასთან; ჭრელა-ჭრელა ყვავილების სიუხვესა, თუ – სააღდგომო კვერცხების შეგროვებასთან. ამ საქმეში ჩვენს უფროს დას ბადალი არ ჰყოლია. დადებდა თუ არა კვერცხს ქათამი, – თბილ-თბილს ამოაცილიდა ბუდიდან და ძველ კალათაში მიაბრუნებდა შესანახად. ერთი ასეთი თვისებაც ჰქონდა უფროს დას: ყოველ საღამოს ფრთხილად ამოალაგებდა კვერცხებს კალათიდან, დათვლიდა და ისევ უკან ჩაალაგებდა. ძირითადად, ქათმის კვერცხს ვლევადით. იშვიათად თუ გაუწევდით ბატის, იხვის ან ინდაურის დაჭორფილ კვერცხს.

ბავშვური ლოგიკით, ის ოჯახი ითვლებოდა მაგარ (სიტყვა „პრესტიჟულს“ არ ვიყენებდით, რატომღაც) ოჯახად, რომელიც ას ცალ კვერცხს შელევავდა. რად გვინდოდა ამდენი კვერცხი!.. მართო კვერცხი ხომ არ უნდა გვეჭამა? მაგრამ ბავშვის აზროვნება განსხვავებულია დიდის აზროვნებისგან.

დამამახსოვრდა ერთი აღდგომა, რომელიც არასოდეს ამომდის მეხსიერებიდან და, აღდგომის დადგომასთან ერთად, ბავშვურ ლაბირინთში გადამისვრის ხოლმე:

იმ წელს დედაჩემი ნემსებს უკეთებდა მეზობლის ქალს. ზუსტად იმ საღამოს მორჩა გაკეთებას, რომელ საღამოსაც სააღდგომო კვერცხები უნდა შეგველვა. ჩემმა დამ არც ახლა უღალატა ჩვენას და, კიდეც ერთხელ დათვალა კვერცხები. მერე უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა:

– ხუთი ცალი დაგვაკლდა, თორემ ასი იქნებოდა! – ამის თქმა და დედაჩემის შინ შემოსვლა ერთი იყო. ხელში რაღაც ეჭირა, შეხვეული.

– ხუთი? – მრავალმნიშვნელოვნად ჩაელიმა დედას და მაგიდაზე გაზეთშემოცლილი ჯამი დადო, რომელშიც, არც მეტი და არც ნაკლები, ხუთი ცალი ციცრის კვერცხი ელავა.

მაშინ ამის საფიქრებლად ვის ცხელოდა... ახლა კი ვხვდები, თუ რატომ იყო ზუსტად ხუთი: ბავშვებს რომ სათითაოდ გვრგებოდა, ალბათ, იმიტომ.

მეზობლის ქალის თქმით, ისე დავალეული იყო დედაჩემისგან, რომ ამ მცირედს როგორ დავამადლი – ბავშვების გასახარად მაინცო.

...ივლიტა, ბებია, შენ, მაშინ „მცირედი“ უწოდებ იმ ძვირფას ძღვენს, რომელმაც იმდენად გაგვახარა ბავშვები, რომ ამ სიხარულმა ლამის დაჩრდილა ჩვენი ახალი, სააღდგომო კაბით გამოწვეული სიხარული. მსგავსი საჩუქარი, მართლაც, იშვიათობა იყო, რადგან, მთელს უბანში არავის ჰყავდა ციცარი. ციცრის კვერცხიც იშვიათად თუ ექნებოდა ვინმეს. თვითონ იმ ოჯახს, ვინც ჩვენ ციცრის კვერცხებით გაგვახარა, თურმე, რძლის დედამ გამოუგზავნა, საკუთარი შვილიშვილების გასახარად.

ივლიტა ბებიამ, თავის შვილებთან ერთად, ჩვენი გახარებაც შეძლო... საზეიმოდ შევლევით იმ საღამოს ასი ცალი კვერცხი! ყველა ლამაზი იყო! განსკუთრებით გამოირჩეოდა ციცრის კვერცხები – მომცრო და პრიალა, მუქი შინდისფერი. მახსოვს, ჩვენ შორის ყველაზე უმცროს დას ძლივს დავტყუეთ იგი ხელიდან: გინდა თუ არა, ციცრის კვერცხთან ერთად უნდა დავიძინო ამაღამო!

აღდგომის წინა ღამით უფროს დებსაც გაგვიტყდა ძილი. სულ ამას ვნატრობდით:

ნეტავ, მალე გათენდეს, რომ უბნის ყველა ბავშვმა ნახოს, რა ლამაზია ციცრის კვერცხი! რომ ჩემს სააღდგომო, წითელი კაბის ორივე ჯიბეში ოთხი კვერცხი ეტევა.

ერთ რამეს ნამდვილად ვერ ვხვდებოდი მაშინ: რატომ გვიშლიდნენ სკოლაში წითელი კვერცხის შეხებასაც კი?!

ახლა მშვენივრად ვხვდები, რომ მასწავლებლები, (არც სკოლის დირექტორი) არაფერ შუაში ყოფილა... მათ „ზემოდან“ ავალეზდნენ.

ცხადია, უღმერთოებს სურდათ, ჩვენც ათეისტებად აღვეზარდეთ! საამისოდ, რას არ კადრულობდნენ...

საბედნიეროდ, ახლა ყველა ბავშვმა იცის, რომ მაიმუნი ჩვენი წინაპარი არ ყოფილა!.. რომ იესო ქრისტეა სამყაროს შემოქმედი! მე კი, ამ გადასახედიდან ამაყად ვიტყვი:

გიხაროდენ, ჭეშმარიტო ქრისტიანო! – ქრისტე აღსდგა!..